

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მომზადება, რომლის თანახმადაც, უქმდება საქართველოს ეროვნულ ბანკთან შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო და უერთდება საქართველოს ეროვნულ ბანკს სტრუქტურული ქვედანაყოფების (დეპარტამენტების) სახით. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს სამართალმემკვიდრეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაზღვევისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საკითხებში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის სამართალმემკვიდრეს.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მიზნად ისახავს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან, წარმოდგენილ ცვლილებებთან, „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანას.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად ცვლილებები შედის კანონის იმ მუხლებში, სადაც მოხსენიებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის დეპარტამენტი და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, იგი შესაბამისად იცვლება საქართველოს ეროვნული ბანკით.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.